



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 11 თებერვალი

დისციპლინური საქმე №148/21
მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 14 დეკემბრის №148 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 16 დეკემბრის №591/148-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1. მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით სარჩელს დაუმატა ახალი სასარჩელო მოთხოვნა, რითიც შეიცვალა სარჩელის შინაარსი, ხოლო მის მიერ დამატებულ სასარჩელო მოთხოვნას 1 თვიანი გასაჩივრების ვადა გასული ჰქონდა;

1.2. მოსამართლემ სარჩელი მიიღო დასაშვებობის შემოწმების გარეშე, რითიც დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25 მუხლების მოთხოვნები;

1.3. მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას გამოიყენა კანონიერ ძალაში ჯერ არ შესული გადაწყვეტილება და ასევე, მხარის მიერ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები;

1.4. მოსამართლემ ისე ჩაატარა სასამართლო სხდომა, რომ სადაო სახლის თანამესაკუთრები არ დაასწო განხილვას;

1.5. -- -- 2021 წლის 3 თებერვლის შესაგებლით მოთხოვნილი საკითხი -- -- და -- -- მესამე პირებად ჩართვის შესახებ მოსამართლემ განიხილა სხდომის ბოლო საკითხად, მაშინ როცა -- -- შუამდომლობა დაუყოვნებლივ იქნა განხილული;

1.6. სასამართლო პროცესის დროს მოსამართლე -- -- აძლევდა იურიდიულ კონსლიტაციას, კერძოდ, უთითებდა კიდევ რომელი აქტი უნდა გაესაჩივრებინა. ასევე, თავად აყენებდა სასარჩელო მოთხოვნას (რასაც არ ითხოვდა მოსარჩელე) და განჩინების გარეშე მიიღო;

1.7. მოახდინა სხდომის ფალსიფიკაცია, კერძოდ სხდომის აუდიო და მატერიალური ვერსია არ შეესაბამება ერთმანეთს;

1.8. მოსამართლე წინასწარ ამჟღავნებდა თავის პოზიციას მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოს -- -- 2020 წლის 22 დეკემბერს სარჩელით მიმართა -- --, მოპასუხე -- -- მიმართ და მოითხოვა -- -- შემდეგი აქტების ბათილად ცნობა:

- -- სარეგისტრაციო სამსახურის 2020 წლის 18 სექტემბრის -- გადაწყვეტილება;
- სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ 2020 წლის 24 სექტემბრის -- გადაწყვეტილება;
- 2020 წლის 19 ოქტომბრის -- გადაწყვეტილება;
- სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ 2020 წლის 26 ოქტომბრის -- გადაწყვეტილება;
- საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ 2020 წლის 19 ნოემბრის -- გადაწყვეტილება;

-- -- სარჩელით, ასევე, მოითხოვა მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

2020 წლის 28 დეკემბრის განჩინებით -- -- სასამართლოს -- -- სარჩელი მიიღო წარმოებაში და დასაშვებად იქნა ცნობილი.

2021 წლის 16 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოპასუხის - - - - წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს -- -- მესამე პირებად ჩაბმის თაობაზე. 2021 წლის 16 აპრილის განჩინებით -- -- სასამართლოს -- -- №-- ადმინისტრაციულ საქმეში, მესამე პირებად ჩააბა -- --.

2021 წლის 28 აპრილს და 2021 წლის 21 სექტემბერს -- -- გაეზავნათ სასამართლო უწყება, რომლითაც ისინი მიწვეული იყვნენ 2021 წლის 16 სექტემბრისა და 3 დეკემბრის სასამართლო სხდომებზე.

2022 წლის 17 იანვარს, სასამართლოს კანცელარიის მეშვეობით, მოსარჩელის წარმომადგენელმა წარადგინა განცხადება და იშუამდგომლა სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის შესაბამისად.

2022 წლის 18 იანვრის -- -- სასამართლოს -- -- განჩინებით -- -- წარმომადგენლის შუამდგომლობა, სარჩელის გამოხმობის თაობაზე, დაკმაყოფილდა.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის,

საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით სარჩელს დაუმატა ახალი სასარჩელო მოთხოვნა (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი). უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ სასარჩელო მოთხოვნის განსაზღვრა და მასში მოსამართლის ჩართულობის ხარისხი, არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹ მუხლის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შებოჭილი სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის მხოლოდ ტრანსფორმირებაში.

ხოლო რაც შეეხება იმ საკითხს, სადაც საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მოსამართლემ სარჩელი მიიღო დასაშვებობის შემოწმების გარეშე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი) და გამოიყენა უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულებები (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.3. პუნქტი), უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების საქმისათვის მნიშვნელობას სარჩელის დასაშვებობის საკითხს განსაზღვრავს მხოლოდ მოსამართლე. შესაბამისად, აღნიშნულზე მსჯელობა სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 14 დეკემბრის №148 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1., 1.2. და 1.3. პუნქტებით).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №148 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტის ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.4., 1.5., 1.6., 1.7. და 1.8. პუნქტებით).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი